



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ ქალაქ ქობულეთის N 5 საჯარო სკოლა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა ალიბეგაშვილი

წევრები: თეა ტაბატაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ნონა ლაგვილავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი)

ნინო მიმინოშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

სოფიკო მჭედლიშვილი (უცხო ენების საგნობრივი ექსპერტი)

ნაირა მამუკელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)

თინათინ მარქარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

ლანა არახამია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)

ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)

კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ქობულეთის N 5 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	246998502

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ქობულეთი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ქობულეთი თბილაიშვილის ქ N 42/ა
საფოსტო ინდექსი	6200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/342?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%83%98%E
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kobuleti5@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2024 წლის 6.08. N MES 2 24 0000947768
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	3 და 4 სექტემბერი 2024 წ

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ქალაქი ქობულეთი თხილაიშვილს ქ.N 42/ა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ქალაქი ქობულეთი თხილაიშვილს ქ.N 42/ა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ქალაქი ქობულეთი თხილაიშვილს ქ.N 42/ა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2024 წლის 3 და 4 სექტემბერს სსიპ ქალაქ ქობულეთის N 5 საჯარო სკოლაში შედგა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი. ვიზიტმა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში ჩაიარა, საგნობრივი ექსპერტები დისტანციურ ფორმატში შეხვდნენ კათედრის წარმომადგენლებს და მათგან მოისმინეს ყველა დასმულ კითხვაზე არგუმენტირებული პასუხი. დაწყებითი კლასების ექსპერტი, ასევე დისტანციურ ფორმატში შეხვდა 1-4 კლასების ქართულის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების პედაგოგებს და მათგან მოისმინა ყველა მისთვის საჭირო კითხვაზე პასუხი.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ----500-----	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	ადწერა <i>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</i>
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შეფასდა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტს N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სკოლას მიეცა რჩევა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან დაკავშირებით



ინდიკატორი 3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლას მიეცა რეგულარული პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცრის აცვანასთან დაკავშირებით
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.2.1 ..	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ტექნოლოგიების ექსპერტის მიერ მიეცათ რჩევა, ყველა კლასის კურიკულუმში ჩასწორდეს სამიზნე ცნებები და მასში შემავალი საკითხები საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მიერ გაიცა რჩევა, კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ერთიანი ფორმა. III–IV–VI კლასების კურიკულუმები გაიწეროს სწორად და სრულყოფილად (ახალი ესგ–ს, სამიზნე ცნებებისა და ჩარჩოს გათვალისწინებით). სასურველია, I-II-V კლასებში, კომპლექსური ტიპის დავალებებით დატვირთულ საგნობრივ კურიკულუმებში შეარჩიონ იმ რაოდენობის შემოქმედებითი დავალებები, რომლებსაც რეალურად განახორციელებენ. სასურველია, აწარმოონ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული სამიზნე ცნებებზე, სტანდარტის შედეგებსა და კრიტერიუმებზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით	ტექნოლოგიების ექსპერტის მიერ გაიცა რჩევა-კომპლექსური დავალების შეფასებისას სასურველია, გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სოლოტაქსონომის მიხედვით, რომელიც შედგება



	განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ორი ძირითადი კომპონენტისაგან: მოსწავლის ნამუშევრის აღწერილობა (რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გააკეთა ამის საფუძველზე) და განმავითარებელი შეფასება (რა რჩევა მიეცა მოსწავლეს). ვინაიდან, კომპლექსური დავალება აუცილებლად მიემართება რომელიმე სამიზნე ცნებას, მოსწავლის შეფასებაც დაკავშირებულია ამ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, რომლებიც კრიტერიუმების სახით კომპლექსური დავალების პირობაში უნდა იყოს ჩაშენებული.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	საზოგადოებრივი მეცნიერების ექსპერტი გასცემს რჩევას-მე 3 კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმში, თემა-სასკოლო გარემო, სასწავლო რესურსების გრაფაში მიეთითოს შესაბამისი რესურსები. მე-5 კლასის ჩვენი საქართველოს კურიკულუმში სასწავლო რესურსების გრაფაში, ყველა შესასწავლი საკითხის გასწვრივ მიეთითოს შესაბამისი რესურსები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა გასცა რჩევა საგნობრივი კურიკულუმების ერთიანი ფორმიტწარმოადგენასთან დაკავშირებით. რომელშიც შეტანილ შემოქმედებით-შემეცნებითი ტიპის დავალებების პირობის ნაცვლად ჩაიწერება იდეა, რომელშიც უმჯობესია თუ გამოიკვეთება შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც მოსწავლემ უნდა შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ კათედრამ წარმოადგინა დიფერენცირებული დავალების ნიმუში და სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული დავალების ნიმუში, კარგი იქნება თუ დიფერენცირებას დაგეგმილ შუალედურ მიზნებში გამოაჩენენ.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკის ექსპერტის მიერ გაიცა რჩევა-სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია მრავალფეროვანი აქტივობით. კარგი იქნება, თუ გამოიყენებთ მრავალფეროვან სწავლების მეთოდებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას.



ინდიკატორი N 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის მიერ გაიცა რჩევა მე-8 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში სასწავლო რესურსების გრაფაში, ყველა შესასწავლი საკითხის გასწვრივ მიეთითოს შესაბამისი რესურსები. მე-9 კლასის ისტორიის კურიკულუმში, თემა-ახალი დრო-მიეთითოს სასწავლო რესურსები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	<i>რჩევა</i>
ინდიკატორი N 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის მიერ გაიცა რჩევა , მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმში სასწავლო რესურსების გრაფაში, ყველა შესასწავლი საკითხის გასწვრივ მიეთითოს შესაბამისი რესურსები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად იქნა გაზიარებული სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა და ღირებულებები) წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს და შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. კერძოდ სკოლის მისიაა ხარისხიანი განათლების ხელშეწყობით, აღზარდოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე, რომელიც იზრუნებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტ განვითარებაზე და შეძლებს მათ მაქსიმალურ რეალიზებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც. სკოლის ხედვაა ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას, გამოყენებას, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ–ჩვევების გამომუშავებასა და საკუთარი პოტენციალის სრულფასოვან გამოვლენას.

ინდიკატორი 1.1.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლა საკუთარი მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო კულტურულ სივრცეს. კერძოდ სკოლა მთავარ აქცენტს აკეთებს უსაფრთხო, წამახალისებელი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლის მისიის შესრულებას და ეფუძნება სკოლის ღირებულებებს. სკოლა უზრუნველყოფს თანაბრი ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.

ინდიკატორი 1.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის „სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისას და სტრეტიგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ მე-6 მუხლი განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის შესამუშავებელი სამუშაო ჯგუფის ფორმირების პროცესებს და შემადგენლობას.დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა,სამუშაოს სახე და შესრულების ვადები.ამვე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კომისიის შემადგენლობაში,საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია შესაბამისი კომპეტენციის პირის მოწვევა.ამ დოკუმენტში განსაზღვრულია ფილოსოფიის შემუშავების ეტაპები და ის მონაცემები რომელთა ანალიზის საფუძველზე ხდება მისიის,ხედვის და ღირებულებების შემუშავება.

ინდიკატორი 1.1.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4..სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს.აღნიშნული დოკუმენტი კი თანხმდება სამეურვეო საბჭოს მიერ და მტკიცდება პედსაბჭოს სხდომით.

ინდიკატორი 1.1.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე,ფეისბუქ-გვერდზე და სკოლის სტენდზე,განიხილება მშობელთა კრებებზე და სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში.სკოლის ფილოსოფიის შემუსავების მეთოდოლოგიის მე-12 მუხლი განსაზღვრავს ინფორმაციის გაზიარების მექანიზმებს.

ინდიკატორი 1.1.1.5. სტანდარტს შეესაბამება

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N1 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა „სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ დოკუმენტი განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. ასევე, განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ინდიკატორი 1.2.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2..სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ოქტომბერში პედსაბჭოსთან შეთანხმებული და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელის შემადგენელი ნაწილია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და მათთან შეესაბამისი მიზნები და ამოცანები. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს: გამჭირვალობა, მოუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა. სტრატეგიული მიმართულებებია:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;

- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მშობელთა ცნობიერების ამაღლება;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული მიმართულება ჩაშლილია ამოცანებით.

ინდიკატორი 1.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3..სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში,სადაც მითითებულია შვიდწლიანი გეგმის შესაბამისი მიზნები,ამოცანები და შესრულების ინდიკატორები.ანგარიშში თითოეული აქტივობის გასწვრივ მითითებულია შესრულდა თუ არა თითოეული მათგანი.ამ ანლიზს ეფუძნება ადგილზე ვიზიტისას წარმოგვიდგინილი 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი,რომლის დამტკიცება მოხდება 2024-2025 სასწავლო წლის პირველივე სამეურვეო საბჭოს სხდომაზე.სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა2024-2025 სასწავლო წლის დამტკიცებული სამოქმედო გეგმა.(დანართი N1)

ინდიკატორი 1.2.1.3.სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლის მიერ წარმოდგენილ როგორც 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა,ისე 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს,ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს,აქტივობებს,შესრულების ვადებს,პასუხისმგებელ პირებს,შესრულების ინდიკატორებსა და რესურსებს.სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა2024-2025 სასწავლო წლის დამტკიცებული სამოქმედო გეგმა.(დანართი N1)

ინდიკატორი 1.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 2 სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

დანართი N 3 შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

დანართი N 4 სამოქმედო გეგმის ანგარიში

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა



1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის „ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-10 მუხლი განსაზღვრავს SWOT ანალიზის მიმართულებებს და პერიოდულობას, ხოლო მე-11 მუხლი კი მონიტორინგის პროცესის პრინციპებს, მექანიზმებს და პასუხისმგებელ პირებს. ამ დოკუმენტის მიხედვით 3 წლის ბოლოს მოხდება შუალედური ანგარიშის წარდგენა, ხოლო 7 წლის ბოლოს საბოლოო ანგარიში წარედგინება სამეურვეო საბჭოს და განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. ამ დოკუმენტის დანართს წარმოადგენს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფორმები.

ინდიკატორი 1.2.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში რომლის განხილვა მოხდა სამეურვეო საბჭოზე. რაც შეეხება შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის შედეგებს, „ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-11 მუხლის შესაბამისად მონიტორინგი განხორციელდება ამოქმედებიდან სამი წლიას თავზე და მოხდება მისი გასაჯაროვება.

ინდიკატორი 1.2.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელიც გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი 1.2.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4..როგორც ადგილზე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ყოველი მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა ეფუძნება წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების საფუძველზე შემუშავებულ SWOT ანალიზს. რაც დასტურდება ადგილზე ვიზიტისას ერთწლიან სამუშაო ჯგუფის ოქმის გაცნობით.

ინდიკატორი 1.2.2.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N2 სტრატეგიული დაგეგვის მეთოდოლოგია

შეფასება:

- ვთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების აღმწერი დოკუმენტი, სადაც კანონმდებლობის შესაბამისად აღწერილია თითოეული სტრუქტურული რგოლის უფლება-მოვალეობები. სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: სკოლის დირექცია (დირექტორი, მოადგილე, ბუღალტერი) ადმინისტრაცია - (საქმისმწარმოებელი, მტუკი, ბიბლიოთეკარი, ისტ მენეჯერი.) არასაშტატო ერთეულები - (3 დამლაგებელი, 2 დარაჯი, აგრეთვე სოციალური პროგრამის ფარგლებში დასაქმებული 1 კარისკაცი, 2 დამლაგებელი, 1 მეეზოვე, 1 დარაჯი და 1 დამხმარე მუშა.) სტრუქტურული ერთეულები - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი

ინდიკატორი 3.1.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის პასუხისმგებლობები სრულად გადანაწილებულია, რაც უზრუნველყოფს სწავლა სწავლების პროცესების სრულფასოვან მართვას. მათი ფუნქცია მოვალეობები ასევე გაწერილია ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი 3.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 5 სტრუქტურა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი,რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ასევე, სკოლის მიზანია იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.

ინდიკატორი 3.1.2.1.სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის“ადამიანური რესურსების მართვა“უზრუნველყოფს საჭიროებებზე დაფუძნებული პროცესების ინტერვენციასა და მართვას.კერძოდ ამდოკუმენტის მე-3 მუხლის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით სკოლა ახდენს ადამიანური რესურსების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს.რაც დასტურდება ადგილზე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით.

ინდიკატორი 3.1.2.2.სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლაში კადრების შერჩევის და დასაქმების პროცესში დაცულია ობიექტურობა და სამართლიანობის პრონციპები რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი „ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის“მე-6 მუხლის პრინციპებითა და ადგილზე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად.

ინდიკატორი 3.1.2.3.სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლის მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის შესაბამისად. სკოლის ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს ამ ეტაპზე სკოლაში დასაქმებულია სულ 24 მასწავლებელი,მათ შორის 1 მენტორი,1 წამყვანი და 22 უფროსი მასწავლებელი,. 2020 წლის შემდგომ მიღებულია 2 მასწავლებელი,ორივეს წარმოდგენილი აქვს ცნობები ნასამართლეობის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი 3.1.2.4.სტანდარტს შეესაბამება

5. სკოლაში ადგილზე ვიზიტისას სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება მიიღება გუნდური მუშაობის შედეგად.პრობლემების გამოვლენა და მათზე დროული რეაგირება მიმდინარეობს ერთობლივად სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.სკოლაში ფუნქციონირებს რამოდენიმე კლუბი,რომელთა დაგეგმვა და განხორციელება გუნდური მუშაობის შედეგია.

ინდიკატორი 3.1.2.5.სტანდარტს შეესაბამება

6. ადგილზე ვიზიტისას სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის ძირითადად ხდება კათედრებზე, პედსაბჭოზე, სამუშაო შეხვედრებზე. მასწავლებლები რომლებიც ჩართულნი არიან USAID-ის საბაზისო განათლების პროექტში იქ მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. ამ პროექტის ფარგლებში დაწყებითი საფეხურის კითხვის და მათემატიკის მასწავლებლები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს. იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო თუ საკლასო პროექტები. სკოლაში ურთიერთთანამშრომლობის კულტურა განვითარებული და თვალსაჩინოა, ურთიერთდასწრების შემთხვევაში ერთმანეთს აძლევენ უკუკავშირს და მიცემული რეკომენდაციის მიხედვით უკვე ხდება ფოკუსირებული დასწრება. კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის ფარგლებში იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები. წარმატებული გამოცდილების გაზიარებას ახდენენ როგორც კათედრის ასევე სასკოლო დონეზე და გადიან რეგიონალურ კონფერენციებზე. სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში, თუმცა შემთავსებელი მასწავლებლები, რომლებიც მუშაობენ ახალი სკოლის მოდელში ჩართულ სკოლაში, სისტემატიურად აცნობენ სიახლეებს კოლეგებს, დიდი დახმარება გაუწიეს კურიკულუმის და კომპლექსური დავალების დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორი 3.1.2.6.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 6 ადამიანური რესურსების მართვა

დანართი N 8 სასკოლო პროექტი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-3 მუხლი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკას და ამოცანებს. ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად პერსონალის პროფესიული ზრდა. კერძოდ მათი საჭიროებების დადგენა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. ღირებულებები, რომელსაც სკოლა ამ პროცესში ეყდნობა არის: დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომა, სამართლიანობა, თანასწორობა, თანაბარი შესაძლებლობები, პროფესიული განვითარება, და ორიენტაცია ხარისხზე.

ინდიკატორი 3.2.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ცდილობს „ადამიანური რესურსების მართვის“ დოკუმენტში განსაზღვრული პრინციპების დაცვას. კერძოდ პერსონალის განვითარება დაეფუძნოს გამოვლენილ საჭიროებებს. ამ დოკუმენტის მე-10 მუხლი განსაზღვრავს თუ როგორ ხდება ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება. მე-10 მუხლის 1.5 პუნქტის შესაბამისად ტარდება დასაქმებულთა პერიოდული გამოკითხვა და ამ გამოკითხვის შედეგების ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში იგეგმება ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში მათი ჩართულობა.

ინდიკატორი 3.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომლის მე-10 მუხლი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პროცესებს. ამ პროცესების

ორგანიზებას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი.კერძოდ ტარდება პერიოდული კვლევა და ამ კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე იქმნება პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა.

ინდიკატორი 3.2.1.3.სტანდარტს შეესაბამება

4.როგორც ადგილზე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა სკოლაში უზრუნველყოფილია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის“მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებში გაწერილი აქტივობების შესრულება. კერძოდ მე-7 მუხლში ჩამოყალიბებულია ადაპტაციის ეტაპები,მე-8 მუხლი განსაზღვრავს ადაპტაციის აქტივობებს,ხოლო მე-9 მუხლი ამ პროცესის მონაწილე ჯგუფებს და მათ ვალდებულებებს.ადაპტაცია მოიცავს სამ ეტაპს:1. მოლოდინები.2.სოციალიზაციის პერიოდი და 3.ოჯახის წევრობა.მე-9 მუხლში გაწერილია კათედრის ასევე დირექციის როლი ამ პროცესში.

ინდიკატორი 3.2.1.4.სტანდარტს შეესაბამება

5.სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობები.კერძოდ სკოლაში ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“,რომლის ფარგლებში ადგილი აქვს გაკვეთილებზე დასწრებას,ერთობლივ უკუკავშირს,საჭიროებების დადგენას და მათზე დროულ რეაგირებას.ნებისმიერი ინციატივა ამ მიმართულებით არის წახალისებული და და წარმატებული შედეგი ინერგება სკოლაში.

ინდიკატორი 3.2.1.5.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N6 ადამიანური რესურსების მართვა

დანართი N 9 ხარისხის მართვის დოკუმენტი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტი, რომლის მიზანია სწავლის ხარისხის მონიტორინგი და მათი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისთვის ხელშეწყობა. სკოლაში დანერგილია შეფასების 2 ტიპი. პირველი შიდა შეფასება და მეორე გარე შეფასება. შიდა ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. P – D – C – A და მეორე გარე შეფასებაში იგულისხმება ავტორიზაციის პროცესი. დაგეგმვის პროცესში გაწერილია პერიოდულობა, ვის მიერ ხდება შეფასება. განავითარე კი შეფასების ანალიზის შედეგად შექმნილ რეკომენდაციასა და პაკეტს.

ინდიკატორი 3.3.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი და დამხმარე პროცესები აღწერილია სკოლის შინაგანაწესსა და სხვა სამართლებრივ დოკუმენტებში. კერძოდ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მმართვის ჯგუფი, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. ყველა მათგანის საქმიანობა სრულ შესაბამისობას აქვს კანონმდებლობასთან და

ეფუძნება სკოლის მისიისა და ხედვის შესრულებას. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს დამრიგებლის ინსტიტუტი. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ხშირია მშობლებთან როგორც ინდივიდუალური, ისე საერთო შეხვედრები. აღნიშნული ემსახურება მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესებს.

ინდიკატორი 3.3.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული “სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი” ამ დოკუმენტის მიზანია სკოლის ძირითადი დანიშნულება მოსწავლეებისათვის მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფა. ამიტომ სკოლა ვალდებულია, ხელი შეუწყოს ისეთი სამუშაო და სასწავლო გარემოს ფორმირებას, რომელიც შესაბამისობაში იქნება მის საგანმანათლებლო მისიასთან. საჩივრების ეფექტური სისტემის არსებობა სკოლის მართვის პროცესში არსებული ხარვეზების აღმოჩენისა და აღმოფხვრის ძირითადი მექანიზმია.

ინდიკატორი 3.3.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული დოკუმენტის- „სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ მე-3 პუნქტი განსაზღვრავს გასაჩივრების მექანიზმების განმსაზღვრელ პრინციპებს. კერძოდ ა) წამოჭრილი პრობლემის არაფორმალური მოგვარების მხარდაჭერა; ბ) საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა; გ) საჩივრების პროცედურების სიმარტივე; დ) გონივრული და მკაფიოდ განსაზღვრული დროის ფარგლები საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტისათვის; ე) საჩივრით წამოჭრილი საკითხების სამართლიანი, სრული და მიუკერძოებელი განხილვა და გადაწყვეტა. ვ) ხელმისაწვდომობა და საჯაროობა.

ინდიკატორი 3.3.1.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 9 ხარისხის მართვის დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ახორციელებს სკოლის ვებ-გვერდის, ფეისბუქ-გვერდის,ელექტრონული ჟურნალის,სატელეფონი კომუნიკაციისა და სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში.სკოლაში აქტიურად ხორციელდება სხვადასვა სახის პროექტი,მშობელთა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართულობით.

ინდიკატორი 3.3.2.1.სტანდარტს შეესაბამება

2.სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა უზრუნველყოფილია კოლეგიალურ ორგანოებში-(სამეურვეო საბჭო,მოსწავლეთა თვითმმართველობა,მრჩეველთა საბჭო,დისციპლინური კომიტეტი) სამართლიანი არჩევნების ჩატარებით და მათი ხშირი და საქმიანი შეხვედრების შედეგად.სკოლაში მოქმედი კლუბები(ჩვენ და მათემატიკა,SPEAK ENGLISH,კლუბი აღმოჩენა,ევროპული გზა,ჩვენ მომავალი თაობა ვართ და კითხვის კლუბი-შემოქმედება) შექმნილია სწორედ სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით და მათი გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე.

ინდიკატორი 3.3.2.2.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 10 მჩვეელთა საბჭოს ოქმი

დანართი N11 შინაგანაწესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სკოლამ წარმოადგინა 03/06/2024 წ. სამხარაულის საექსპერტო ბიუროში შენობის მდგრადობის დადგენის მიზნით.გაგზავნილი წერილი N611322 .წერილის საფუძველზე 2024 წლის 6 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება N ე-279 სსიპ -ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსა და სკოლას შორის.სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა -ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.(დანართი

N3).სკოლამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,ასევე 05/06.2024 წ შპს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურთან გაგზავნილია წერილი N 623699 შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მისაღებად.სკოლას მიეცა რჩევა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.4.1.1.სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლის შენობაში განთავსებულია საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი,ვიზიტის დროს სკოლას არ ყავდა არც ექიმი და არც ექთანი2024 წლის 19 აგვისტს გამოცხადებული კონკურსის შედეგად შეირჩეული იყო რამოდენიმე კანდიდატი,რომელთაგან მოხდა კანდიდატის შერჩევა და სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა შერჩეულ კანდიდატთან გაფორმებული ხელშეკრულება. (დანართი N5)

ინდიკატორი 3.4.1.2.სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, 2 მანდატური და სკოლის დარაჯი.ისინი კლასის დამრიგებლებთან და მორიგე მასწავლებლებთან ერთად უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლამ წარმოადგინა უკონტაქტო დათვალირებაზე პასუხისმგებელი 2 პირის დანიშვნის ბრძანება.

ინდიკატორი 3.4.1.3.სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნის მიზნით, სკოლის მიერ შემუშავებულია და სამეურვეო საბჭოს დამტკიცებული აქვს „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა“, აგრეთვე სკოლა სარგებლობს მანდატურის სამსახურის მომსახურებით. ჰყავს 2 მანდატური,, რომელებიც გეგმიურად ატარებენ ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით, საუბრებს ბულიგის, კიბერბულინგის, ოჯახური ზალადობის, და სხვა საჭირო თემებზე. საჭიროების შემთხვევაში მანდატურის სამსახური გადაამისამართებს მოსწავლეს ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრთან.

ინდიკატორი 3.4.1.4.სტანდარტს შეესაბამება

5...სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმების სამოქმედო გეგმა.გემა შედგება ექვსი პუნქტისგან და გაწერილია სკოლის შენობის შესასვლელში. მასში გაწერილია როგორ და ვის მიერ ხდება სანიტარული კვანძების დასუფთავება და რა სიხშირით.

ინდიკატორი 3.4.1.5.სტანდარტს შეესაბამება

6.სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები.ამ დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა, ამ მონაცემთა დაცვის სტრატეგიები და მონიტორინგის მექანიზმები.წესი ვრცელდება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრზე. თითოეულ მუხლში გაწერილია მონაცემთა დაცვის პროცესი ელექტრონული პლატფორმის,ელექტრონული ჟურნალის გამოყენების,ვიდეო თვალთვლის განხორციელების,შენობაში შესვლა-გამოსვლის თუ ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის გამოყენების შემთხვევაში.სკოლას მიეცა რჩევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის აყვანასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.4.1.6.სტანდარტს შეესაბამება

7.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“უზრუნველყოფს სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაციის დაცვას.ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი-საქმისწარმოებელი,ხოლო პროცესის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის ბიბლიოთეკარი.

ინდიკატორი 3.4.1.7.სტანდარტს შეესაბამება

8.სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.

ინდიკატორი 3.4.1.8.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.~

დანართი N 12 სამხარაული წერილი

დანართი N13 საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

დანართი N 14 საინტარგო ჰიგიენური დაცვის წესი

დანართი N 15 ხელშეკრულება სამხარაულთან

დანართი N 16 სახანძრო უსაფრთხოება წერილი

დანართი N 17 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი

დანართი N 18 პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მატერიალური ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობას სრულფასოვნად წარმართვას.სკოლაში ამ ეტაპზე სწავლობს 323 მოსწავლე,განაცხადი გაკეთებული აქვთ 500 მოსწავლეს.სკოლის შენობა არის სამ სართულიანი იკავებს 3690,8 კვ. მ.არჭურვილია ამ ეტაპზე 500 მოსწავლისთვის საჭირო ინვენტარით.

ინდიკატორი 3.5.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2..სკოლის ინფრასტრუქტურა მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.კერძოდ სკოლაში ფუნქციონირებს რამოდენიმე სასკოლო კლუბი (ჩვენ და მათემატიკა,Speak English,რუსული ენის კლუბი „მზე“,კლუბი აღმოჩენა,ევროპული გზა,კითხვის კლუბი „შეოქმედება“,ჩვენ მომავალი თაობა ვართ,) სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი,კომპიუტერებით სარგებლობის წესი.

ინდიკატორი 3.5.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლამ წარმოადგინა ბიბლიოთეკის დებულება,რომლის შესაბამისად, ბიბლიოთეკა არის ცენტრი, სადაც დაგეგმილი და განხორციელებული ყველა აქტივობა უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლების ხარისხისა და მოტივაციის ამაღლებას, ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას.ამ დოკუმენტში განსაზღვრულია ამ მიზნის მისაღწევი აქტივობები.კერძოდ,სემინარების მოწყობა,არდადეგების დროს მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა სახის აქტივობებში,კლუბების მოწყობა და წიგნის კვირეულის ჩატარება.განსაზღვრულია როგორც მკითხველის ისე ბიბლიოთეკარის ფუნქცია მოვალეობები.

ინდიკატორი 3.5.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიურ გარემოს.სკოლაში ფუნქციონირებს ლიფტი,სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული ტუალეტი,სკოლის შემოსასვლელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი მოსწავლისთვის.სკოლაში დღეის მდგომარეობით სწავლობს 9 სსსმ მოსწავლე,მათ შორის არცერთი არ არის ეტლით მოსარგებლე.

ინდიკატორი 3.5.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სოცო კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.კერძოდ სკოლაში ფუნქციონირებს რამოდენიმე კლუბი,ასევე არის სივრცე მოსწავლეთა თვითმმართველობის შეხვედრებისა და სხვადასხვა სახის აქტივობების განსახორციელებლად.ასევე სკოლა აღჭურვილია სპორტული დარბაზით,და გარე სპორტული მოედნით სადაც ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებები.

ინდიკატორი 3.5.1.5. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

◦ დანართი N 19 ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
